ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კოლეგიის თავმჯდომარე - კონსტანტინე გელაშვილი

კოლეგიის წევრი - ეკატერინე გეწაძე

კოლეგიის წევრი - ეკატერინე მაჭარაშვილი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი - 03.05.23

შეკითხვის ავტორი - ადვოკატი /სიითი №/

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი - 005/23

I. შეკითხვა

ადვოკატი სხვადასხვა დროს ახორციელებდა ორი კომპანიის წარმომადგენლობას გადახდისუუნარობის საქმეში. ორივე ამ კომპანიის წარმომადგენლები (ერთდროულად დამფუძნებელიც იყო და დირექტორიც, ერთ კომპანიაში ერთი პირი, ხოლო მეორეში - მეორე) მას დაუკავშირდნენ, როგორც ადვოკატს. დოკუმენტაციის მოძიებისა და ინფორმაციის გამოთხოვის გაადვილების მიზნით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გაფორმდა პროკურის სახით, რომელიც ჩვეულებრივ დარეგისტრირდა სამეწარმეო რეესტრში.

2022 წლის ბოლოს დაიწყო გამოძიება ამ კომპანიის მიმართ, ხოლო 2023 წლის დასაწყისიდან ამ ორივე კომპანიის დამფუძნებელ-დირექტორის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლის დევნა.

ორივე ბრალდებული ადვოკატმა ინახულა სასჯელახსრულების დაწესებულებაში და შესაბამისად გამოწერა ორდერი. ამასთან, ორივეს თხოვნით ადვოკატი ახორციელებდა მათ

წარმომადგენლობას დაზარალებულებთან მოლაპარაკებებში, ხოლო ერთ-ერთ მათგანს იცავდა აღკვეთის ღონისძიების ორ სხდომაზე.

ამავე სისხლის სამართლის საქმეზე პროკურორმა თავისი დადგენილებით ადვოკატი ააცილა საქმეს, რადგან იყო მოწმე, პირი, რომელმაც იცოდა საქმის გარემოებები.

ეს დადგენილება გასაჩივრდა ზემდგომ პროკურორთან იმ არგუმენტით, რომ ადვოკატმა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება კომპანიაში განახორციელა პროკურის ფორმით და პროკურის ფორმის მიუხედავად იყო კომპანიის წარმომადგენელი-ადვოკატი და რომ პროფესია ავალდებულებდა არ მიეცა ჩვენება და რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით არ იყო ვალდებული ჩვენების მიცემაზე.

ზემდგომმა პროკურორმა საჩივარი უარყო იმ დასაბუთებით, რომ პროკურა ეს არის სავაჭრო წარმომადგენლობა და დირექტორის მსგავსაი ფუნქციების მქონე პირი, ადვოკატის არგუმენტი იყო უსაფუძვლო და მას რომ დაყრდნობოდა გამოძიება, მაშინ ვერცერთი ადვოკატი მოწმედ ვერ უნდა დაკითხულიყო.

კითხვა:

1) ასეთ შემთხვევაში არის თუ არა ვალდებული ადვოკატი მისცეს ჩვენება?
2) აქვს თუ არა ადვოკატს უფლება არ მისცეს ჩვენება?
3) თუ მაგისტრი მოსამართლე დაიბარებს ადვოკატს და მოსთხოვს ჩვენების მიცემას სისხლის სამართლის ნორმაზე მითითებით, აქვს თუ არა უფლება ადვოკატს უარი თქვას ჩვენებაზე?

I. ანალიზი

ეთიკის კომისიამ ადვოკატის ქმედებების აღმწერი ჰიპოთეტური ფაქტები განიხილა ადვოკატის პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულების მარეგულირებელი ნორმებით.

> ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად; კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაავრცელოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ინფორმაცია. (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 7.1. "ა"; "ბ").
>
> ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით. კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში. (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 4.1.2).

არ შეიძლება ადვოკატი დაიკითხოს მოწმედ იმ საქმეზე, რომელშიც იგი მონაწილეობდა, როგორც ადვოკატი (დამცველი ან წარმომადგენელი). (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 38.3).

პროფესიული საიდუმლოება არის საადვოკატო საქმიანობის დროს მიღებული ყველა სახის ინფორმაცია კლიენტის საქმესთან დაკავშირებით. პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნება დასაშვებია მხოლოდ კანონითა და ეთიკის წესებით დადგენილი გამონაკლისების შესაბამისად. ადვოკატი ვალდებულია, საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, თუნდაც საქმის დასრულების შემდეგ, დაიცვას პროფესიული საიდუმლოება და უზრუნველყოს კონფიდენციალური ინფორმაციის იმგვარი დაცვა, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეთ. კონფიდენციალურობის დაცვა საადვოკატო პროფესიის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 1) და გამომდინარე იქიდან, რომ კლიენტ-ადვოკატის ურთიერთობა ნდობაზეა დაფუძნებული, კონფიდენციალური ინფორმაციის არამართლზომიერი გათქმით და მხარეებს შორის ჩამოყალიბებული ნდობის ხელყოფით, ადვოკატი არამარტო თავის რეპუტაციას აყენებს ზიანს, არამედ საფრთხეს უქმნის მთლიანად ადვოკატთა კორპუსს და სახელს უტეხს პროფესიას. შესაბამისად, საადვოკატო პროფესიაში კონფიდენციალურობის დაცვის გამკაცრებული მოთხოვნა, პროფესიის საერთო კორპორაციული ინტერესებიდან მომდინარეობს და მოითხოვს ადვოკატისგან მაღალ წინდახედულებას, განზრახ თუ გაუფრთხილებლობით, არ დაარღვიოს კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება.

ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია მხოლოდ კლიენტის თანხმობით, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ინფორმაციის გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში აუცილებლია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და თუ მისი გამჟღავნება კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს, ან იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მისთვის წაყენებული ბრალდებისგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ან მის მიერ მიუღებელი ჰონორარის თაობაზე სასამართლო დავის არსებობისას. (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 7.1[1]. “ა“; “ბ“; “გ“).

“კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, აღნიშნული, გარდა კლიენტისაგან მიღებული ინფორმაციისა, მოიცავს, ასევე, კლიენტის შესახებ სხვა ნებისმიერი წყაროდან მიღებულ ინფორმაციას, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში. ამასთან, კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში“ (ეთიკის კომისიამ 2012 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე №094/11)

კითხვასში აღწერილი ფაქტებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისია საჭიროდ მიიჩნევს, განმარტოს, თუ როდის ვრცელდება ადვოკატზე პროფესიული ეთიკის ნორმები, რათა ნათელი გახდეს კონკრეტულ შემთხვევაში, კომპანიაში პროკურისტის სტატუსით მოქმედ ადვოკატზე გავრცელდება თუ არა პროფესიული ეთიკის კოდექსი.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით: „ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.“

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ამომწურავად აყალიბებს ადვოკატის ცნებას და განსაზღვრავს, რომ:

1. ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის მქონე პირი, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმებს და არა ზემდგომ პირს;

2. იმისათვის, რომ პირი ჩაითვალოს ადვოკატად, აუცილებელია იყოს გაწევრიანებული ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის რეგულაცია ვრცელდება მხოლოდ ადვოკატებზე, შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ პირი არ არის ადვოკატი და მას არ აქვს მინიჭებული საადვოკატო საქმიანობის უფლებამოსილება, მასზე აღნიშნული ნორმატიული აქტების მოქმედება არ გავრცელდება. ამის საპირისპიროდ, პირი რომელიც გაწევრიანებულია ადვოკატთა ასოციაციაში და სარგებლობს ადვოკატის სტატუსით, ექცევა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის რეგულირების სფეროში.

ეთიკის კომისიამ ერთ-ერთ დისციპლინურ საქმეში, ამხანაგობის წევრ იურისტზე, გაავეცელა ეთიკის კოდექსის მოქმედება და განმარტა, რომ „ადვოკატის შენატანს ამხანაგობაში წარმოადგენდა იურიდიული მომსახურების გაწევა, რაც თავის მხრივ გულისხმობს, რომ ადვოკატს თავისი პროფესიული მოვალეობის განხორციელებით უნდა უზრუნველყო ამხანაგობის წინაშე აღებული ვალდებულებები... ეთიკის კომისია ყუდარღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თავად პროფესიული საქმიანობის განხორციელების ვალდებულებას და არა აქვს მნიშვნელობა ადვოკატმა საადვოკატო მომსახურება განახორციელა ამხანაგობაში შენატანის სახით, თუ ფულადი საზღაურის სანაცვლოდ ემსახურებოდა მას„ (ეთიკის კომისიის 2011 წლის 26 ოქტომბერს გადაწყვეტილებით, საქმეზე №046/11)

კონკრეტულ შემთხვევაში, კითხვაში აღწერილი ფაქტების თანახმად, ადვოკატს საადვოკატო მომსახურეობის მიღების მიზნით დაუკავშირდნენ და თითოეულ კომპანიაში, დოკუმენტაციის მოძიებისა და ინფორმაციის გამოთხოვის გაადვილების მიზნით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ადვოკატმა პროკურისტის სტატუსით განახორციელა.

კოლეგია განმარტავს, რომ თავისი შინაარსით სამეწარმეო საზოგადოებაში, პროკურის სტატუსი პირს ანიჭებს, ფართო უფლებამოსილებას, გარკვეული შეზღუდვების გათვალისწინებით, კომპანიის სახელით განახორციელოს რიგი მოქმედებები. კონკრეტულ შემთხვევაში ადვოკატი კომპანიაში პროკურის სტატუსს, კომპანიისთვის იურიდიული

მომსახურეობის გაწევის მიზნით იყენებდა, რაც მის მიერ განხორციელებულ ქმედებებზე, პროფესიული ეთიკის კოდექსის გავრცელების საფუძველს ქმნის. შესაბამისად, ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ კითხვაში აღწერილი ფაქტების შეფასებით, ვინაიდან ადვოკატი პროკურისტის სტატუსის მეშვეობით ახორციელებდა პროფესიულ საქმიანობას, მას ეკისრება პროფესიული ეთიკის დაცვის ვალდებულება.

ამასთან, კითხვაში აღწერილი ფაქტების თანახმად, გარკვეული პერიოდის შემდეგ, თითოეული კომპანიის დამფუძნებელ-დირექტორის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლის დევნა, ხოლო ადვოკატმა, თითოეული პირის სახელზე გამოწერა ორდერი და ბრალდებულების თხოვნით ახორციელებდა მათ წარმომადგენლობას დაზარალებულებთან მოლაპარაკებებში, ხოლო ერთ-ერთ ბრალდებულის ინტერესები, ადვოკატმა აღკვეთის ღონისძიების ორ სხდომაზე დაიცვა, რა დროსაც მას ჰქონდა შესაძლებლობა სრულად გასცნობოდა მიმდინარე საქმეთა მასალებს.

"ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტი ადვოკატის, როგორც მოწმის სტატუსით დაკითხვის შემთხვევას არეგულირებს, რომლის მიხედვითაც „არ შეიძლება ადვოკატი დაიკითხოს მოწმედ იმ საქმეზე, რომელშიც იგი მონაწილეობდა, როგორც ადვოკატი (დამცველი ან წარმომადგენელი)". ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 141-ე მუხლის მიხედვით, არ შეიძლება დაკითხულ იქნენ მოწმედ „წარმომადგენლები სამოქალაქო საქმეებსა და დამცველები სისხლის სამართლის საქმეებზე – **ისეთ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა მათ მიერ წარმომადგენლის ან დამცველის მოვალეობის შესრულებისას**", ამავე კოდექსის 142-ე მუხლის „გ" პუნქტის მიხედვით კი ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება აქვთ „პირებს, რომლებიც თავიანთი **სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ვალდებულნი არიან დაიცვან საიდუმლოება,** თუ ისინი განთავისუფლებულნი არ არიან ამ მოვალეობისაგან". სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის 1-ლი ნაწილით „მოწმის სახით ჩვენების მიცემისას მოწმედ დაკითხვისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება არ ეკისრება: ა) ადვოკატს – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში ადვოკატის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით; ბ) ადვოკატს, რომელიც **იურიდიულ დახმარებას უწევდა პირს დაცვის მიღებამდე, – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა იურიდიული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით**".

ეთიკის კომისია განმარტავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ როგორც სამოქალაქო ასევე სისხლის საპროცესო კოდექსის ნორმები ხაზს უსვამენ ზოგადად ადვოკატის უფლებას და არა ვალდებულებას, პროფესიული ეთიკა ადვოკატს პირდაპირ ავალდებულებს არ გათქვას პროფესიული საიდუმლოება და გასული დროის მიუხედავად დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

ეთიკის კომისია განმარტავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ადვოკატის მიერ, კომპანიისთვის, პროკურისა და ბრალდებულების უფლებადამცველის სტატუსით გაწეული იურიდიული მომსახურეობის პერიოდში მოპოვებული ინფორმაცია, წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას. ადვოკატს, გასული დროის მიუხედავად, ეკისრება ვალდებულება დაიცვას

პროფესიული საიდუმლოება, ხოლო ის ფაქტი, რომ გამომძიებელი ადვოკატისგან ითხოვს ინფორმაციის მიწოდებას არ ათავისუფლებს მას პროფესიული ვალდებულებისგან.

დასკვნა

ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატს ეკისრება ვალდებულება, არ გათქვას ინფორმაცია, რომელიც მისთვის, პროკურისა და ბრალდებულების უფლებადამცველის სტატუსით მოქმედებისას გახდა ცნობილი. თითოეულ პერიოდში ადვოკატის ქმედებებზე ვრცელდება პროფესიული ეთიკა და მას ეკისრება ვალდებულება გასული დროის მიუხედავად დაიცვას, პროფესიული საიდუმლოება.

რაც შეეხება ადვოკატის კონკრეტულ შეკითხვებს:

1) ასეთ შემთხვევაში არის თუ არა ვალდებული ადვოკატი მისცეს ჩვენება?
2) აქვს თყ არა ადვოკატს უფლება არ მისცეს ჩვენება?
3) თუ მაგისტრი მოსამართლე დაიბარებს ადვოკატს და მოსთხოვს ჩვენების მიცემას სისხლის სამართლის ნორმაზე მითითებით, აქვს თუ არა უფლება ადვოკატს უარი თქვას ჩვენებაზე?

ეთიკის კომისია განმარტავს, რომ მისი უფლებამოსილება, ადვოკატის ქცევის ეთიკის ნორმებთან შესაბამისობის შემოწმებით შემოიფარგლება და ის მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს, გამოძიებისა თუ სისხხლის სამართლის საქმის წარმოების ეტაპზე, ადვოკატის მიმართ არსებული მოთხოვნების კანონიერება.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/